ხელშეკრულება № 01-25 / 162
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

ქ. ბათუმი 22 ივლისი 2019 წელი

სახელმწიფო შესყიდვის განხორციელების მიზნით, სახელმწიფო შესყიდვების შესახებ საქართველოს კანონის მე–2 თავის, მე-10[1] მუხლის, მე-3 პუნქტის და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს №13 ბრძანებით დამტკიცებული ,,გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმები და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის“ მე-3 მუხლის პირველი პუნქტის ,,თ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ჩვენ ქვემოთ ხელის მომწერნი, ერთის მხრივ ა(ა)იპ „აგროსერვის ცენტრი“ (ქ. ბათუმი გოგებაშვილის ქ. №46ა) (შემდგომში - შემსყიდველი), წარმოდგენილი მისი დირექტორის გოჩა ბერიძის სახით და მეორეს მხრივ შპს „რეზუტექსერვისი“ წარმოდგენილი მისი დირექტორის ზურაბ კარგიშვილის სახით (შემდგომში – მიმწოდებელი), ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1 ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს ა(ა)იპ „აგროსერვის ცენტრი“–ს მიერ 2019 წლის სახელმწიფო შესყიდვების გეგმის შესაბამისად, აჭარის არ ბიუჯეტის სახსრებით, (პროგრამა 070711) ავტომანქანა ნივის (სახ. ნომერი RX 644 XR) სათადარიგო ნაწილების და ტექნიკური მომსახურების (CPV კოდი 34330000; 50110000; 24950000) (შემდგომში „საქონელი“ და „მომსახურება“) შესყიდვა წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებისა და წინამდებარე ხელშეკრულებაზე თანდართული დანართი №1-ის შესაბამისად.

2. ხელშეკრულების საერთო ღირებულება

2.1 ხელშეკრულების საერთო ღირებულება განისაზღვრება ეროვნულ ვალუტაში – ლარში.

2.2 ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს 725.00 (შვიდას ოცდახუთი) ლარს.

2.3 ხელშეკრულების ჯამური ღირებულება მოიცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ შესყიდვასთან დაკავშირებული მიმწოდებლის ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს, რომლის გადახდაზეც პასუხისმგებელია მიმწოდებელი.

3. საქონლის/მომსახურების ხარისხი.

3.1 მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ მიწოდებული საქონლის/მომსახურების ხარისხი უპასუხებს ხელშეკრულების პირობებს და დააკმაყოფილებს შემსყიდველის მოთხოვნებს.

3.2 მიწოდებული საქონლის/მომსახურების ხარისხი უნდა შეესაბამებოდეს ამ სფეროში არსებულ სტანდარტებს და ტექნიკურ ნორმებს.

4. საქონლის/მომსახურების მიწოდების პირობები

4.1 საქონლის/მომსახურების მიწოდება განხორციელდება ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 10 (ათი) კალენდარული დღის ვადაში.

5. საქონლის/მომსახურების მიღება-ჩაბარების წესი

5.1. საქონელი/მომსახურება მიღებულად ჩაითვლება მხოლოდ შემოწმებისა და მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

5.2. საქონლის/მომსახურების მიღების ან/და შემოწმების შედეგად გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრას საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოფს მიმწოდებელი.

5.3. შემსყიდველი ვალდებულია ოპერატიულად, წერილობითი სახით, აცნობოს მიმწოდებელს შემოწმების შედეგები გამოვლენილი წუნდების მიზეზის მითითებით.

5.4. შემსყიდველის მხრიდან საქონლის/მომსახურების მიღება–ჩაბარებას ახორციელებს ა(ა)იპ ,,აგროსერვის ცენტრი“–ს მძღოლი ქემალ გორაძე.

6. ანგარიშსწორების ფორმა, გრაფიკი (ვადები)

6.1 მიწოდებული საქონლის/მომსახურების ღირებულების ანაზღაურება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით.

6.2 შემსყიდველი ვალდებულია მოახდინოს ანგარიშსწორება მიმწოდებელთან, მიმწოდებლის მიერ საქონლის/მომსახურების მიწოდებასა და აღნიშნულის თაობაზე მხარეთა შორის მიღება-ჩაბარების

აქტის გაფორმებიდან, ასევე მიმწოდებლის მიერ შესაბამისი საგადასახადო დოკუმენტაციის წარმოდგენიდან არა უგვიანეს 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში.

7. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

7.1 შემსყიდველს უფლება აქვს:

ა) შეამოწმოს მიწოდებული საქონლის/მომსახურების ხარისხის შესაბამისობა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან;

7.2 შემსყიდველი ვალდებულია:

ა) მოახდინოს ანგარიშსწორება მიმწოდებელთან ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად;

ბ) უზრუნველყოს შესყიდვის საქონლის/მომსახურების მიღება.

7.3 მიმწოდებელს უფლება აქვს:

ა) მოსთხოვოს შემსყიდველს მიწოდებული საქონლის/მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით.

7.4 მიმწოდებელი ვალდებულია: დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

8. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების დარღვევისას

8.1. მიმწოდებლის მიერ წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული მიწოდების ვადების დარღვევის, ასევე წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის, ან არასათანადო შესრულების შემთხვევაში, მას დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა ხელშეკრულების ღირებულების 0,02 %-ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

8.2. მიმწოდებელს მიერ უხარისხო საქონლის/მომსახურების მოწოდების შემთხვევაში, მიმწოდებელს გაეგზავნება წერილობითი გაფრთხილება. 10 კალენდარული დღის განმავლობაში არსებული ხარვეზის აღმოუფხვრელობის შემთხვევაში, მას დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა წინამდებარე ხელშეკრულების მე-8 მუხლის 8.1. პუნქტის შესაბამისად.

8.3. იმ შემთხვევაში, თუ წინამდებარე ხელშეკრულებებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობისთვის (მათ შორის, მიწოდების ვადების დარღვევისთვის) დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 10% პროცენტს, შემსყიდველს უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება.

8.4. მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში, შემსყიდველი უფლებამოსილია, პირგასამტეხლოს თანხა გამოქვითოს მოწოდებული მომსახურების ასანაზღაურებელი თანხიდან.

8.5. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

9. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების ხელის მოწერიდან 2019 წლის 30 აგვისტოს ჩათვლით.

10. ხელშეკრულებაში ცვლილებებისა და დამატებების განხორციელების წესი

10.1 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების განხორციელების შემთხვევაში, აღნიშნული ცვლილება უნდა გაფორმდეს წერილობითი ფორმოთ.

10.2 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების პირობების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით დადგენილი შემთხვევებისა.

10.3 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში, დაუშვებელია სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობის გაზრდა.

11. ფორს-მაჟორი

11.1 ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.

11.2 ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი“ ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

11.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

12. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

12.1 ხელშეკრულების შესრულებისას მხარეთა შორის წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.

12.2 შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეები მიმართავენ სასამართლოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

13. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

13.1. შემსყიდველს უფლება აქვს ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე განახორციელოს ტექნიკური კონტროლი.

13.2. მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი რესურსებით უზრუნველყოს შემსყიდველი კონტროლის ჩატარებისათვის აუცილებელი ტექნიკური საშუალებებით და სხვა სამუშაო პირობებით.

13.3. ყველა გამოვლენილი ხარვეზის ან ნაკლის აღმოფხვრასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

14. სხვა პირობები

14.1 მხარეები აუნაზღაურებენ ერთმანეთს მიყენებულ ზარალს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

14.2 არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

14.3 მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.

14.4 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ორ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

14.5 წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

15. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

„შემსყიდველი”	„მიმწოდებელი“
ა(ა)იპ „აგროსერვის ცენტრი“	შპს „რეზუ ტექსერვისი“
მის. ქ. ბათუმი, გოგებაშვილის ქ. №46ა	მის. ქ.ბათუმი, ფრიდონ ხალვაშის გამზ. N205
	ს.ს. „თიბისი ბანკი“
	ბანკის კოდი TBCBGE22
ს/კ 445399391	ა/ა GE60TB7559736020100003
დირექტორი	ს/კ 248430559
	დირექტორი
გოჩა ბერიძე	ზურაბ კარგიშვილი

დანართი №1

ფასების ცხრილი

№	CPV კოდი და დასახელება	საქონლის/მომსახურების დასახელება	ზომა	რაოდენობა	ერთეულის ფასი (ლარი)	მთლიანი ღირებულება (ლარი)
1	CPV კოდი 34330000 – სატვირთო ავტომანქანების, ფურგონებისა და მსუბუქი მანქანების სათადარიგო ნაწილები	ამნთები სანთელი	ცალი	4	5.00	20.00
2		ამნთები სანთელის სადენი	კომპ.	1	30.00	30.00
3		სტარტერის ჩოთქები	კომპ.	1	20.00	20.00
4		ღუმელის მილი	ცალი	1	12.00	12.00
5		ღუმელის შლანგი	ცალი	2	5.00	10.00
6		ღუმელის ჩობალი	ცალი	1	2.00	2.00
7		ძრავის ზედა თავსახურის შუასადი	ცალი	1	6.00	6.00
8		ძრავის სარქველი	ცალი	8	11.25	90.00
9		ძრავის სარქველის საპოხი მასალა	ცალი	1	10.00	10.00
10		ძრავის სარქველის ჩობალი	კომპ.	1	15.00	15.00
11		ძრავის ქაღალდის საფენი	კომპ.	1	4.00	4.00
12		ძრავის წინა ჩობალი	ცალი	1	4.00	4.00
13		ძრავის შუასადი	ცალი	1	12.00	12.00
14		ძრავის ჯაჭვი	ცალი	1	60.00	60.00
15		ძრავის ჯაჭვის მამშვიდებელი	ცალი	1	15.00	15.00
16		ძრავის ჯაჭვის მარეგულირებელი	ცალი	1	15.00	15.00
17	CPV კოდი 24950000 - სპეციალიზებული ქიმიური პროდუქტები	ანტიფრიზი	ლიტრი	3	5.00	15.00
18		გერმეტიკი	ცალი	1	15.00	15.00
19	CPV კოდი 50110000 სატრანსპორტო საშუალებებისა და მათთან დაკავშირებული მოწყობილობების შეკეთება, ტექნიკური მომსახურება და მასთან დაკავშირებული მომსახურებები	ძრავის შეკეთება და სათადარიგო ნაწილების შეცვლის სამუშაოები	-	-	-	300.00
20		ელექტრო სამუშაოები	-	-	-	70.00
ჯამი			**ლარი**			**725.00**

ა(ა)იპ „აგროსერვის ცენტრი“
დირექტორი
გოჩა ბერიძე

შპს „რეზუ ტექსერვისი“
დირექტორი
ზურაბ კარგიშვილი